ASHENDI
Agro Georgia

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის

მეურნეობის მინისტრის

ბატონ: ლ. დავითაშვილს

შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს დირექტორის

ბატონ: ა. ბოიკოვის

ტელ.: 577 44 26 26

საკონტაქტო პირი: 577 95 15 59

ელ. ფოსტა: a.boykov@ashendi.com

სკრინინგის განცხადება

გაცნობებთ, რომ 2018 წლიდან შ.პ.ს „აშენდი აგრო საქართველო“-ს თეთრიწყაროს რაიონი სოფელ ასურეთში გააჩნია მეღორეობის ფერმა ს/კ: 84.24.31.029

აღნიშნულ ტერიტორიაზე განთავსებულია ერთი ცალი მეღორეობის ფერმა რომელიც შედგება 7 კორპუსისგან და გათვლილია 10 000 ღორზე. საიდანაც იგეგმება ერთი წლის განმავლობაში 1600 ტონა ხორცის მიღება.

ფერმის გარშემო დაახლოებით 1 კმ-ში დგას დაუმთავრებელი შენობა მათი, ასევე ფერმის გარშემო 1-1,5 კმ-რის დაშორებით დგას შენობა ნაგებობა რომელიც ამჟამად არ ფუქნქციონირებს. ფერმის გარშემო კვების ობიექტები განლაგებული არ არის.

ფერმის ტერიტორიაზე თანამშრომლების ყოველდღიურად შეშვება ხდება სპეციალურად მოწყობილი საკონტროლო პუნქტიდან დეზობარიერების გავლის და შხაპის მიღების შემდეგ, რაზედაც ხორციელდება მკაცრი კონტროლი.

ასევე ფერმაში შესვლამდე შხაპის მიღების შემდეგ ხდება თანამშრომლების სპეციალური ტანსაცმლის ჩაცმა საცვლების ჩათვლით და შემდგომ ხდება მათი ტერიტორიაზე დაშვება.

პერსონალი შედგება 28 კაცისკან, შხაპის მიღების დროს დღის განმავლობაში პერსონალი მოიხმარს დაახლოებით 2 კუბ.მ წყალს, მოხმარებული წყალი გროვდება შესაბამის ჭაში და შემდგომ გააქვს კომპანიის მიერ დაქირავებულ ა/მანქანას.

№ 9317
27 06 2019
4 ფ.

ასევე ფერმაში ავტომანქანების შეშვების დროს ხდება მათი სადეზინფექციო საშუალებით დამუშავება კერძოდ საბურავების კაუსტიკური სოდით ხოლო ავტომანქანა დექსიდ-400-ით რომელიც ჩაედინება ჭაში და შემდგომ გააქვს კომპანიის მიერ დაქირავებულ ა/მანქანას.

ფერმის ტერიტორიაზე მდებარე კორპუსების შიდა დამუშავება პერიოდულად ხდება შედეგი დასახელების დეზიფექციის საშუალებებით: კაუსტიკური სოდა, ეკოციდი, დექსიდ-400 და დიქსამით, ასევე დეზიფექციის შემდეგ ნარეცხი გროვდება ჭაში და გააქვს კომპანიის მიერ დაქირავებულ ა/მანქანას.

ღორების გამოსაკვებად კვირაში ფერმას ესაჭიროება 124 (ასოცდაოთხი) ტონა კომბინირებული საკვები (წელწადში 6448 ტონა), რომლის დამზადებაც მოხდება ადგილზე, ფერმის ტერიტორიაზე სადაც დამოტაჟებულია საკვების დამამზადებელი ავტომატიზირებული ცეხი, ასევე ავტომატიზირებულად მიეწოდება ფერმაში ღორებს საკვები. ღორების წარმადობა მაკეობა გრძელდება 114 დღე, მომდევნო განაყოფიერება ხორციელდება 33 დღეში, ფერმის ტერიტორიაზე არსებულ ლაბორატორიაში, გოჭების რაოდენობა ერთ მშობიარობაზე შეადგენს 15 ცალს.

ფერმაზე მიბმულია (ერთ საკადასტრო კოდში) სპეციალიზირებული ღორების სასაკლაო რომელიც ამჟამად მშენებლობის პროცესშია, რომლიც იმუშავებს კვირაში 6 დღე, დღეში დაახლოებით 24 საათის განმავლობაში (სმენობით), სადაც კვირაში დაიკვლება საშუალოდ 370 ღორი.

კომპლექს გააჩნია ერთი ლაგუნა, რომელშიც გროვდება ფერმიდან გამომავალი ცხოველების შარდი, ფეკალური მასები, ლაგუნა დაცლას საჭიროებს 6 თვეში ერთხელ და ნაკელის სახით სპეციალური ტექნიკის გამოყენებით გაიფრქვევა სასუქის სახით ჩვენს კუვნილ ტერიტორიაზე. ლაგუნას ტევადობაა 20 000 ლიტრი. კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება თეთრიწყაროს მუნიციპალური მერიასთან რომლებმაც დადგეს ბუნკერები ნაგავის შესაგროვლებლად და ასევე მათ მიერ ხორციელდება ბუნკერების გატანა.

სასაკლაოს ფუნქციონერებისას წარმოიქმნება ღორების დაკვლისას არსახიფათო ნარჩენები რომლის დღიური რაოდენობა არ აღემატება 120 კგ-ს, რომელიც განადგურებული იქნება ფერმაში არსებულ კრემატორიუმში (რომლის დამონტაჟებაც იგეგმება). სასაკლაოში მოეწყობა ორი ორმო რომელშიც დაგროვდება სასაკლაოდან გამოსული წყალი, სისხლი რომელიც შემდგომ გატანილი იქნება სპეციალური ა/მანქანით. სასაკლაოს მშენებლობის ვადაა დაახლოებით 8-10 თვემდე. სასაკლაოს მშენებლობის დროს სამშენებლო ნარჩენები ეტაპობრივად გატანილი იქნება ტერიტორიიდან შესაბამის ა/ტრანსპორტით.

მეღორების ფერმიდან უახლესი დასახლებული პუნქტი დაშორებული 3 კმ-ით, რაც შეეხება ფერმის შემოგარენ ტერიტორიებზე განთავსებულია სასოფლო-სამურნეო მიწის სავარგულები.

ასევე ფერმის ტერიტორიაზე უნდა დამონტაჟებულია კრემატორიუმი, რომელიც მოსახლეობიდან დაშორებული იქნება 5 კმ-ით , არასახიფათო ნარჩენების გასანადგურებლად.

კრემატორიუმის (ინსინერატორის) მოდელია კრ-400, რომლის ტექნიკური მონაცემებია: მაქსიმალური საქონლის დატვირთვის მასსა არის 400 კგ, გაბარიტებია 2,4*1,2, ჩასატვირთი ლუქი 1,6*0,8, საკვამული მილის ზომებია 0,219*0,838, წონა 2500 კგ, დარჩენილი ნაცარი კრემაციის შემდეგ 9,07, დატანილი აქვს ცეცხლგამძლე ე.წ. „პრაკლატკა“, დაცულია ცეცხლგამძლე მასალით ე.წ. „აბლიცოვკით“, ბუნებრივი აირის წვა 5,9 კ.მ ერთ საათში, მთლიანი დატვირთვის დროს ერთ საათში შესაძლებელია 10-14 ნარჩენის განადგურება, ერთ საათში შესაძლებელია 45-80 ნარჩენის განადგურება, წვის ტემპერატურაა 760-870.

აღნიშნული კრემატორიუმის (ინსინინატორის) მომსახურეობის მიზნით კომპანიის მიერ გადამზადებული იქნა ფერმის ორი თანამშრომელი რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისობის სერთიფიკატები.

მეღორეობის ფერმაში წყლის გამოყენება ხდება ჩვენი კუთვნილი ჭაბურღილებიდან, ჭაბურღილიდან გამომდინარე წყალი იფილტრება „ოსმო“-ს აპარატით და შემდგომ ხდება მისი გამოყენება. ღორების სამელად წყალი გამოიყენება ფერმის მთლიანად დატვირთვისას 560 კუბ. მეტრი კვირაში. დაახლოებით 60 კუბ.მ. დაიხარჯება სასაკლაოს და ფერმის სხვა საჭიროებაზე.

საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის მოსალოდნელი, რადგან მეღორეობის ფერმის სპეციფიკიდან და აღჭურვიდან გამომდინარე არ იგეგმება მაღალი ხმაურის გამომწვევი დანადგარის ქონა.

მეღორეობის ფერმის განთავსების ტერიტორიაზე და მის შემოგარენში არ ფიქსირდება მრავალწლიანი მცენარეული სახეობები, მითუმეტეს წითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები. ტერიტორია დაფარულია მხოლოდ ბალახოვანი საფარით, ასევე არ ფიქსირდება ცხოველთა სახეობები.

მეღორეობის ფერმის ტერიტორიაზე დაგეგმილი სამუშაოს ჩატარების პერიოდში ნიადაგის ნაყოფიერი სრული კანონმდებლობის დაცით დასაწყოებული და შემდგომ გამოყენებული იქნა ტერიტორიის მწვანე საფარის მოსაწყობად.

ფერმაში დასაქმებულია ადგილობრივი მოსახლეობა, მათ შორის სამაჩაბლოდან დევნილი მოსახლეობა, რის გამოც დემოგრაფიული ცვლილებები მოსალოდნელი არ არის.

საწარმოს საქმიანობა დადებით გავლენას მოახდენს რეგიონის და არა მარტო რეგიონის არამედ მთელი საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე.

საწარმოს ტერიტორიაზე მიწის სამუშაოების შესრულების პროცესში არქეოლოგიური ან კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის არსებობის ნიშნების ან რაიმე სახით გამოვლინების შემთხვევაში სამუშაოთა მწარმოებელი დაუყონებლივ შეწყვიტავს სამუშაოებს და „კულტურულ მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის თანახმად დაუყონებლივ აცნობებს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს.

მეღორეობის ფერმის ფუნქციონირებისას კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი, რადგან მის სიახლოვეს ანალოგიური ტიპის ფერმები არ არსებობს, ასევე არ მდებარეობს კვების ობიექტები. ფერმიდან დაახლოებით 500-600 მეტრში მდებარეობს დაუმთავრებელი შენობის ჩონჩხი, შენობა რომელიც ქირავდება და ამჟამად არ ფუნქციონირებს.

მეღორეობის ფერმის ოპერირებისას, ავარიული სახით შესაძლებელია მოხდეს ხანძარი, სახანძრო უსაფრთხოების მიზნით დამონტაჟებულია სახანძრო ცეცხლმაქრები.

საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს არასახიფათო ნარჩენების განთავსებისთვის სასაკლაოზე ორმოების მოწყობასთან და ფერმის ტერიტორიაზე კრემატორიუმის დადგმასთან დაკავშირებით წარმოგიდგენთ განცხადება სკრინინგის პროცედურის გასავლელად და გთხოვთ თქვეს გადაწყვეტილებას.

შპს „აშენდი აგრო საქართველო“-ს

დირექტორი /ა. ბოიკოვი/